ოქრომჭედლობის ნიმუშები ცოტა შემოგვრჩა, თუმცა XV საუკუნეში, როცა საქართველოში ინტენსიური აღდგენითი მუშაობა გაიშალა, გარკვეული გამოცოცხლება ოქრომჭედლობასაც დაეტყო. აღსანიშნავია ანჩისხატის კარედის შიდა პირის მოჭედილობა, შესრულებული სამცხის ათაბაგთა შეკვეთით. აქ გამოხატულია საღმრთო წერილის სცენები. ჭედვის ხარისხიცა და ტექნიკური დონეც აშკარად დაქვეითებულია. ეს ვლინდება როგორც ორნამენტებში, ისე ადამიანთა ფიგურებში, სადაც დაკარგულია პლასტიკა, დარღვეულია პროპორციები.

XV საუკუნეში მოღვაწეობდა ოქრომჭედელი მამნე, რომლის შესრულებულია სადგერისა და ბარაკონის საკურთხევლისწინა ჯვრების მოჭედილობა, გელათში — ჯვრის ბურთი, რომელიც შემდეგ უფრო გვიანდელ ჯვარს მიამაგრეს, და ზარზმის მიძინების ხატის მოჭედილობა (1920 წელს დაღუპული). მამნე ყველა ამ ნივთის წარწერაში იხსენიება. იგი თავისი დროის სახელმოხვეჭილი ოსტატი უნდა ყოფილიყო. სადგერის დიდი ჯვარი ტიპური ნიმუშია იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ხატებისა და ჯვრებისა, რომელთა მრავალფიგურიანი კომპოზიციები ვრცლად გადმოგვცემს სარწმუნოებრივი ლეგენდის სცენებს. იგი ნაჭედია მოოქრული ვერცხლის ფირფიტებზე, რომლებიც ხის ჯვარს ფარავდა. გამოსახულია ვედრება, 13 საუფლო დღესასწაული და წმ. გიორგის წამების სცენები. ჯვრის სიმაღლე 2,30 მეტრია, განივი მკლავების სიგანე — 1,06 მეტრი. ბარაკონის ჯვარი უფრო მცირე ზომისაა. მამნე იშვიათად მიმართავს ორნამენტს, მაგრამ, სადაც კი აკეთებს მას (მაგალითად, ბარაკონის ჯვარზე), ორნამენტი მრავალფეროვანია და მარჯვედ შესრულებული. ოსტატი ცდილობს იმასაც, რომ იკონოგრაფიულად უკვე დაკანონებულ სცენებში ერთგვარი სიცოცხლე და მოძრაობა შეიტანოს, მექანიკურად კი არ გადმოიღოს სიუჟეტები, არამედ თვითონ გაიაზროს ისინი.

ასეთია ქართული ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების განვითარების სურათი XIII—XV საუკუნეებში.

მცირე აღორძინების ხანის ქართული კულტურა (XVI—XVIII სს.)

II

XV ს. მეორე ნახევარში ერთიანი ქართული სახელმწიფო რამდენიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა. XVI—XVII საუკუნეების მანძილზე ამიერკავკასია ირან-ოსმალეთის მეტოქეობის ასპარეზად იქცა. საქართველოს მიწა-წყალზე თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარე ომებს აურაცხელი მსხვერპლი, ნგრევა და გაპარტახება მოჰყვა. ამას ემატებოდა ფეოდალური შინაომები, ჩრდილოკავკასიელი ტომების მარბიელი ლაშქრობანი, ტყვეთა სყიდვა, რომელმაც დასაელეთ საქართველოს ომებზე არანაკლები ზიანი მიაყენა, დამპყრობთაგან დაკისრებული მძიმე ხარკი და სხვა ვალდებულებანი, მოსახლეობის აყრა-გადასახლება და ტერიტორიული დანაკარგები, რომელთაგან უმძიმესი იყო ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს მიტაცება. სამცხის სახით საქართველომ დაკარგა თავისი მიწა-წყლის ერთი მესამედი — ეკონომიკურად ძლიერი მხარე, სულიერი და მატერიალური კულტურის მძლავრი კერა.

ჟამთააღმწერელს თუ დავესესხებით, „იქმნა უკუქცევა სუფსვიანისა ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა...“

ამ მძიმე ჟამს, XVI საუკუნეში, იწყება ქართული კულტურის ახალი აღმავლობა, რომელსაც ხშირად „მცირე აღორძინებას“ ან „მცირე რენესანსს“ უწოდებენ, მხედველობაში აქვთ რა ქართული კულტურის დიდი აღმავლობა XI—XII საუკუნეებში.

მტრის შემოსევებს ქართული კულტურის არაერთი ძეგლი ემსხვერპლა. ეკლესია-მონასტრების წიგნსაცავთა ძარცვა-რბევის, მაჰმადიანთა ძალმომრეობის, ძვირფასი წიგნების უცხოეთში გატანის გამო განადგურდა და განიავდა ქართული ხელნაწერები. საბედნიეროდ, ქართველ კაცს სჯეროდა, რომ „ჴელი მწერლისა მიწასა შინა

ლპების და ნაწერნი ჰგიან“, „მშრომელთა ჴელი მიწდების და ნაშრომი განძად დაშთების“. ამიტომ ქართულ ხელნაწერებს ყოველთვის ჰყავდა მოამაგენი, რომლებიც დიდი საფასურის გაღებით იხსნიდნენ დატყვევებულ ხელნაწერებს, დაფურცლულ-დაფანტულ წიგნებს კინძავდნენ და ყდაში სვამდნენ. დიდი ღვაწლი დასდეს ქართულ ხელნაწერთა დაცვასა და გადარჩენას ქართლის მეფე სიმონ I; როსტომ მეუის მეუღლემ, დედოფალმა მარიამმა; ალექსანდრე I კახთა მეფის მეუღლემ, დედოფალმა ანამ; თეიმურაზ I, არჩილ მეფემ, აგრეთვე სასულიერო პირებმა.

XVI—XVII სს. კულტურული შემოქმედების მთავარ მოტივად ეროვნულ-პატრიოტული თემა იქცა. კულტურის მოღვაწენი, ერთი მხრივ, იცავდნენ იმას, რაც ადრე იყო შექმნილი, მეორე მხრივ, ქმნიდნენ ახალ ნაწარმოებებს, რომლებიც ეპოქის სულს შეესატყვისებოდა და სათანადო განწყობას ქმნიდა. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის „ფიზიკურ საშუალებათა გვერდით თანდათან შემუშავდა იდეური ბრძოლის საშუალებანი. თანდათან ჩამოყალიბდა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი: პოეტ-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტორიკოსები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. სათანადო მებრძოლი მოტივები გაჩნდა პოეზიაში (არჩილი, იოსებ თბილელი), საამისოდ „გაიმართა“ ისტორიაც („ახალი ქართლის ცხოვრება“), გაჩაღდა მაჰმადიანობის წინააღმდეგ პროპაგანდა, დაიწყო ქრისტიანობის აღდგენისაკენ მიმართული ენერგიული მოქმედება“.

XVI—XVII სს. ქართული კულტურის სახის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია აღმოსავლურმა, კერძოდ, ირანულმა მუსლიმურმა კულტურამ. ეს განსაკუთრებით ითქმის პოეზიასა და ხელოვნებაზე. ამავე დროს, ქართველი მოღვაწეები ენერგიულად უპირისპირდებოდნენ ირანული ელემენტის მოძალებას კულტურაში და მისგან თავის დაღწევას ეროვნული მემკვიდრეობის ათვისებითა და გამოცოცხლებით ცდილობდნენ.

1. განათლება. კულტურის კერები

მონღოლთა ბატონობის დროიდან სწავლა-განათლების საქმე დაქვეითების გზას დაადგა. XV საუკუნისათვის უკვე საგრძნობლად შემცირდა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი. ფეოდალთა ზედაფენა მა-

ინც დიდ ყურადღებას აქცევდა სწავლა-აღზრდის საქმეს, რომელიც საერო და სასულიერო განათლების სფეროს მოიცავდა.

სკოლები არსებობდა ეკლესია-მონასტრებთან, საეპისკოპოსო კათედრებთან, მეფე-მთავართა რეზიდენციებთან და მსხვილ ფეოდალთა სასახლეებთან. ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, ისტორიას, პოეზიას, უცხო ენებს, სამართალს, გეოგრაფიას, მათემატიკას, ასტრონომიას და სხვა მეცნიერებებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ წრთობას. ამ მიზანს ემსახურებოდა ნადირობა, სახალხო გართობები და თამაშობები. არჩილის აზრით, სწავლა-აღზრდის საქმეში მთავარი როლი მასწავლებელს („მოძღვარი“) და სახელმძღვანელოს ენიჭება. მასწავლებელს თანდათან მიჰყავს მოსწავლე მარტივიდან რთულისაკენ.

XVII ს. 60-იანი წლებიდან საქართველოში სკოლებს აარსებენ კათოლიკე მისიონერები. მათი მიზანი იყო კათოლიკობის პროპაგანდისტთა აღზრდა. ამ სკოლებში, ღვთისმეტყველებასთან ერთად, ასწავლიდნენ ქართულ, ლათინურ და იტალიურ ენებს, ზოგიერთ პრაქტიკულ მეცნიერებას. თბილისის კათოლიკე მისიონერთა სკოლაში 1675—1676 წწ. 40—50 მოსწავლე იყო. ყველაზე უფრო ნიჭიერ ყმაწვილებს სწავლის გასაგრძელებლად აგზავნიდნენ რომში, უმაღლეს თეოლოგიურ სასწავლებელში — პროპაგანდის კოლეგიაში. 1679 წ. 5 მოსწავლე მოუმზადებიათ იქ გასაგზავნად. XVII ს. 80-იან წლებში ქართლის მეფის მდივანი იყო ვინმე ენიბეგაანთ ზალინა, რომელიც თბილისის კათოლიკეთა სკოლაში აღზრდილა. იგი ფლობდა ქართულ, სომხურ, სპარსულ, თათრულ და იტალიურ ენებს. თბილისის გარდა, კათოლიკე მისიონერებს სკოლები გახსნილი ჰქონდათ ეორში, ქუთაისში, ახალციხესა და სხვა ქალაქებში.

ზოგი ქართველი ახალგაზრდა უცხოეთშიც მიდიოდა განათლების მისაღებად. მაგალითად, XVII ს. მეორე ნახევარში ნეაპოლის სკოლაში „სამოქალაქო მეცნიერებას“ სწავლობდა ერთი ქართველი თავადიშვილი, რომელმაც 1661 წელს პროპაგანდის კოლეგიაში შესვლის ნებართვა ითხოვა.

სწავლა-განათლებისა და კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ცენტრები აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქართლში იყო თავმოყრილი. სიმონ I, თეიმურაზ I, როსტომისა და ვახტანგ V დროს თბილისში, ქართლის მეფეთა კარზე თავს იყრიდნენ მოაზროვნენი და პოეტები. ნაყოფიერი ლიტერატურული

საქმიანობა მიმდინარეობდა კახეთისა და იმერეთის მეფეთა კარზე (გრემი, თელავი, ქუთაისი), სამეგრელოსა და გურიის მთავართა რეზიდენციებში. თავიანთ როლს ინარჩუნებდნენ საეპისკოპოსო ცენტრები — სვეტიცხოველი, სამთავისი, წილკანი, ალავერდი, დასავლეთ საქართველოში — გელათი, ბედია, ცაიში, შემოქმედი. გელათის როლი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც XVI საუკუნეში აქ ბიჭვინთიდან გადმოიტანეს დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო კათალიკოს-პატრიარქის ევდემონ ჩხეტიძისა (1543—1578 წწ.) და ექვთიმე საყვარელიძის (1578—1616 წწ.) მოღვაწეობა.

სწავლა-აღზრდისა და კულტურული შემოქმედების მნიშვნელოვანი ცენტრები იყო აგრეთვე ეკლესია-მონასტრები: ლარგვისი, იკორთა, კაბენი, ქვათახევი, ჯრუჭი, მარტვილი, ხობი და სხვ.; სათავადოთა ცენტრები — მუხრანი, მძოვრეთი, ტანძია. სამხრეთ საქართველოს კულტურული ცენტრებიდან ზოგიერთი XV—XVI სს. განაგრძობდა არსებობას, მაგრამ XVII ს. დასაწყისიდან ქართველთა კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა იქ საბოლოოდ შეწყდა.

XVII ს. ბოლოს განსაკუთრებით დაწინაურდა გარეჯის მონასტრები. აქ იქმნებოდა ორიგინალური თხზულებები, მზადდებოდა ახალი ნუსხები, მრავლდებოდა ხელნაწერები. 1690 წლიდან გარეჯის წინამძღვარი იყო ონოფრე მაჭუტაძე. იგი თავგამოდებით იღვწოდა გარეჯის მონასტრების კეთილმოწყობის, მათი აღდგენა-განახლების, მამულების გაფართოებისათვის. მისი მეცადინეობით გამოცოცხლდა გარეჯის მონასტრების საქმიანობა, მომრავლდა ბერმონაზვნობა. ონოფრე მაჭუტაძეს სამართლიანად უწოდეს გარეჯის „მეორედ აღმშენებელი". მისი მოღვაწეობის პერიოდში გარეჯის მონასტრებში თავი მოიყარეს მწერლებმა, კალიგრაფებმა, ბიბლიოფილებმა; გამდიდრდა ბიბლიოთეკა. გარეჯა ქართული მწერლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად იქცა.

რთულ პირობებში უხდებოდა საქმიანობა საზღვარგარეთ არსებულ სავანეებს. ქართველ სასულიერო პირთა რიცხვი უცხოეთში სულ უფრო მცირდებოდა. შეიზღუდა მათი კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის მასშტაბები.

XVI—XVII სს. ქართველები მოღვაწეობას განაგრძობდნენ ათონის ივერთა მონასტერში. XVI ს. დამდეგისათვის, საქართველოდან მიღებული დახმარება-შემოწირულებათა წყალობით, ათონელთა

მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. ფართოდ გაშლილ აღმშენებლობით საქმიანობას და დანგრეულ ნაგებობათა აღდგენა-განახლებას ბუნებრივად მოჰყვა მოღვაწეთა რიცხვის ზრდაც. იმხანად მონასტრის წინამძღვარიც ქართველი იყო — თეოდოსიოს მღვდელმონაზონი, რომელიც 1511 წ. მივიდა ათონზე. მან შენიშნა წიგნსაცავის ნაკლულოვანება, „მრავალნი წიგნნი" აღწერა და შესწირა მას. მანვე შეადგინა ქართული სავანის ისტორია 1259—1514 წლებისა (ბერძნულ ენაზე). მისი ქრონიკა, ისევე როგორც მისი გაგრძელებანი (ივერთა მონასტრის 1592—1626 წწ. და 1659—1674 წწ. ისტორია) XVII—XVIII საუკუნეებში ითარგმნა ქართულად სახელწოდებით: „მოთხრობა უმშუენიერესი მონასტრისათჳს ივერთაჲსა, რომლისა თანამდებ არიან ცნობად ყოველნი მონაზონნი". იგი მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს.

ქართველთა აღმშენებლობითი საქმიანობა ათონზე მომდევნო პერიოდშიც გრძელდებოდა. ლევან კახთა მეფესა (1520—1574 წწ.) და მის ძეს ალექსანდრე II (1574—1605 წწ.) „წარუგზავნიათ და თვისითა საფასითა აღუშენებიათ" ფილოთეოსის მონასტრის ტაძარი, რომლის კედელზე ლევანი „ხატია ტანითა მომაღლო, მოხუცებული, მწითური, ცხვირკავი, თმითა და წვერითა სპეტაკი, მოსილი გვირგვინითა და პოდირითა", ხოლო ალექსანდრე — „ჰასაკითა მცირე, მშვენიერი სახილავი, თმითა მოშავო, მოსილი იგიცა გვირგვინითა".

1562 წ. ბასილ ქუთათელმა გლეხები შესწირა ათონის ივერთა მონასტერს. 1567 წ. ათონს ეწვია პილიგრიმი ფილიპე შაქარაშვილი და შეძლებისდაგვარად დაეხმარა გაჭირვებაში მყოფ ქართულ ტაძარს. „წარმოვედ წმიდით ქალაქით და წმიდასა ამას მთასა მშვიდობით მოვიწიე მონასტერსა ამას ცათა მობაძავსა ქართველთასა, — ეკითხულობთ ფილიპეს ჩანაწერებში, — ვიხილე ეკლესია სასოჲსა ჩუენისა... ღვთისმშობლისა ფრიად ძუჱლი და მოშლილი, დაქცეული, ცუარისა და წჯმისა არა დამჭირველი. ასის დრაჰკანის ოქროჲ მქონდა... გაცვალეს ოქროჲ და ესე ყოვლად წმიდისაჲ ეკლესიაჲ ახლად აღვაშენებინე და ტყჯთა გარდავაბურვინე".

1568 წ. სულთანმა სელიმმა ათონის ყველა მონასტერს ჩამოართვა მამულები, მათ შორის ქართველთა მონასტერსაც, რომელიც „მრავალსა ვალსა შეეყენა აგარიანთაგან", რის გამო „დიდსა გაჭირვებასა და ვიწროებასა შინა იყო". იქაურმა მოღვაწეებმა ზემოთ ხსენე-

ბულ კახეთის მეფე ალექსანდრეს მიმართეს. ამ უკანასკნელმა მონასტერს 12.000 ოქრო გაუგზავნა. ამას გარდა, ივერთა მონასტრის ბერებმა აღმოსავლეთსა და დასავლეთში შეკრიბეს შეწირულებანი და გაათავისუფლეს თავიანთი სავანე „უმძიმესისა ვალისაგან“.

აღსანიშნავია, რომ XVI ს. მიწურულიდან აშკარაა რუსეთის ინტერესის ზრდა ათონის მონასტრისადმი. რუსები თავს ბიზანტიის მემკვიდრედ აცხადებდნენ და აღმოსავლეთში ქრისტიანთა დამცველის როლს იჩემებდნენ. ალბათ, ამით აიხსნება რუსთა მეფეების მიერ ივერთა სავანისათვის დახმარების აღმოჩენა 1584—1586 წლებში. XVI—XVII სს. მიჯნაზე ივერთა მონასტერს სხვა ქვეყნების საერო თუ სასულიერო ხელისუფალნიც ეხმარებოდნენ. მაგალითად, 1592—1610 წწ. მას შეეწია უნგრო-ვლახეთის მთავარი მიქაელ II: მისი სახსრებით მოხატა ტაძარი საქართველოდან მიწვეულმა მარკოზ მღვდელმონაზონმა.

XVII საუკუნეში ათონის ივერთა მონასტერში გრძელდებოდა აღდგენით-აღმშენებლობითი საქმიანობა. აივო სენაკები და „ახალი სასნეულოჲ ზემო ნავთსაყუდელსა სახლსა“, „გააკეთეს მხატვრობაჲ და წმიდაჲ ტრაპეზი, სააიაზმე და კარისბჭე და კამარები“, გამოიყვანეს წყალი და „გააკეთეს ორიცა წყაროცა გარე“, ააშენეს კამარები საწნახელთათვის, მოახატინეს ორი ეკვდერი და სხვ. მართალია, ეს სამუშაოები ბერძენი წინამძღვრების ზეობის ხანაში შესრულდა, მაგრამ ზოგი მათგანი ფრიად დაახლოებული იყო ქართველობასთან. მაგალითად, გაბრიელი, წყაროების მიხედვით, ივერიიდან მოსული იყო. შემონახული ცნობები ადასტურებს, რომ XVII საუკუნეში ქართველთა დახმარება ათონისადმი უმნიშვნელო არ ყოფილა. იქ ხშირად ჩადიოდნენ ქართველი პილიგრიმები: 1622 წ. — ტიმოთე იკორთელი, 1630 წ. — პავლე დორიაული, 1640 წ. — ელისე საგინაშვილი და სხვ.

რაც შეეხება ქართველთა მწიგნობრულ-ლიტერატურულ საქმიანობას ათონზე, იგი შესუსტებული ჩანს. ისიც, რაც XVI—XVII სს. შეიქმნა, ჩვენამდე მეტად ნაკლული სახით არის მოსული.

ქართველთა მოღვაწეობა, თუმცა მეტად რთულ პირობებში, გრძელდებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერშიც. საქართველოდან იქ ჩასული პირები (მათგან ჩვენ უკვე შევეხეთ ბეენა ჩოლოყაშვილის საქმიანობას) ზრუნავდნენ არა მარტო ამ უმთავრეს ქართულ სავანეზე, არამედ ცდილობდნენ ყურადღება არ მოეკლოთ სხვა სავანეებში მოღვაწე თანამემამულეებისთვისაც.

ქართველთა ხშირი ჩასვლა იერუსალიმში, მათი ზრუნვა ძველ უფლებათა აღდგენაზე, ქართულ ხელნაწერთა ბედზე საკმაოდ შესამჩნევი იყო. XVI ს. დამდეგამდე, როგორც უკვე ვთქვით, ისინი გარკვეულ პრივილეგიებსაც ინარჩუნებდნენ. მაგრამ 1516 წლიდან, თურქოსმალთა მიერ პალესტინის დაპყრობის შემდეგ, იერუსალიმი და მისი სანახები თურქების ხელში აღმოჩნდა, ქრისტიანული ტაძრები მათი შემოსავლის წყაროდ იქცა. ქართულ სავანეთა შენარჩუნება კიდევ უფრო გაძნელდა. ქართველებს დიდად ავიწროებდნენ ბერძნებიც. სამშობლოდან დახმარებამაც იკლო. ქართველებს დაკისრებული გადასახადის დაფარვა გაუჭირდათ, ვალი დაედოთ. ამის გამო ზოგი ჩვენი ტაძარი კათოლიკებმა ჩაიგდეს ხელში.

როგორც კი იერუსალიმის კოლონია სამშობლოდან დახმარების სახით შესაწირავს მიიღებდა, მაშინვე ცდილობდა ვალის გასტუმრებას, დაგირავებული ქონების გამოხსნას. აღსანიშნავია დახმარება, რომელიც იერუსალიმის ქართველობას აღმოუჩინა ფილიპე შაქარაშვილმა. იგი 1565 წ. წავიდა სამცხიდან, იერუსალიმში მიიტანა „საიერუსალიმო თეთრი“ და წელიწადნახევარი გაატარა ჯვარში, დიდად დაეხმარა იერუსალიმის სავანეებს (ჯვარს, გოლგოთას, კათამონს, გიორგის ეკლესიას და სხვ.) — ზოგი აღადგინა, ზოგი შეამკო, ზოგს დაგირავებული ნივთები დაუხსნა.

ამ პერიოდის კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა იერუსალიმში ძირითადად ორი მოღვაწის — ბარნაბა თბილელისა და ვლასი ურბნელის — სახელებს უკავშირდება. ისინი სამშობლოშიც აქტიურად მოღვაწეობდნენ, შემდეგ ერთად დამკვიდრდნენ ჯვრის მონასტერში. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან ვიგებთ, რომ ბარნაბა თბილელი ძველ ტექსტებს განაახლებდა და დაკლებულ ადგილებს ავსებდა, ვლასი ურბნელი კი ძველ ფოლიანტებს კრავდა და კაზმავდა. როგორც ჩანს, მათ ორიგინალური არაფერი შეუქმნიათ, მაგრამ მათი მწიგნობრული საქმიანობის წყალობით მრავალი ხელნაწერი გადარჩა და შემოინახა.

XVI ს. მიწურულს, უცხოურ წყაროთა თანახმად, ქართველებს იერუსალიმის ქრისტიანთა შორის ჯერ კიდევ საპატიო ადგილი ეკავათ.

XVII საუკუნეში ქართველთა ყურადღება ჯვრის სავანისადმი გაიზარდა. ისინი ცდილობდნენ მეტი დახმარება აღმოეჩინათ იერუსალიმის სავანეებისათვის საქართველოში ბეგარის აკრეფით და იერუსალიმში შეწირულებათა გაგზავნით უხვი დახმარება მიიღო ქართულმა კოლონიამ მამია გურიელისაგან (1600—1625 წწ.), ბაადურ და გარსევან ჩოლოყაშვილებისაგან (XVII ს. 30-იან წწ.). მაგრამ ეს დახმარება მაინც არ იყო საკმარისი.

სწორედ ამ დროს იერუსალიმის ქართულ კოლონიას სათავეში ჩაუდგა ჭკვიანი და ენერგიული ხელმძღვანელი — ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილი (ირუბაქიძე—ჩოლოყაშვილი). 1614—1625 წწ. იგი პირველად იყო იერუსალიმში, 1643—1649 წწ. კი, იერუსალიმში შეორედ ყოფნის ჟამს, იგი ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, ანუ ჯვრის მამა იყო.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა მთელი თავისი უნარი და ენერგია ჯვრის მონასტრის რესტავრაციასა და გაძლიერებას შეალია. მან გონივრულად და მიზანმიმართულად გამოიყენა საქართველოდან მიღებული დახმარება. მათ შორის, ვინც ჯვრის მონასტერს შეეწია, უნდა დავასახელოთ იმერეთის მეფეები გიორგი და ალექსანდრე III, ვახტანგ გურიელი, ქაიხოსრო წულუკიძე, ევდემონ ჯაიანი და, განსაკუთრებით, ლევან დადიანი. ერთ-ერთი მინაწერი, რომელიც ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის სახელითაა შესრულებული, ერთგვარად აჯამებს მის მიერ შესრულებულ სამუშაოს: „...დავახატვინეთ ჯვრის გუმბათი და კედლები, და სახლები, და გალავანი დაქცეული გავაკეთეთ და საკურთხეველი მოვფიქლეთ, ოდეს მისჭირებოდა მონასტერსა. სამცხე თურქთ დაიჭირეს და გაათათრეს, კახეთი და ქართლი სპარსელებმა დაიჭირეს. მას ჟამსა მომხვდა მე ცოდვილსა ჯვარის მამობა... და ესრეთ შევამკევ, რომელ სრულიად საბერძნეთი და არაბისტანი განკვირდა“.

ნიკოლოზის ინიციატივით მონასტრის მხატვრობა ახალი პორტრეტებით შეივსო — უმთავრესად იმ პირთა გამოსახულებებით, რომელთაც დიდი შეწირულებანი გაიღეს მონასტრის სასარგებლოდ. ესენია: ქართლის მეფე როსტომის მეუღლე, დადიანის ასული მარიამი, სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე, თბილელი მთავარეპისკოპოსი ელისე საგინაშვილი, მანგლელი მთავარეპისკოპოსი თეოდოსე რევიშვილი, თვითონ ნიკოლოზ-ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, პაატა და ქაიხოსრო წულუკიძენი, აგრეთვე რამდენიმე პირი, რომელთა ვინაობა

ისტორიულად უცნობია (მათი სახელებიც მოხსენიებულია). არც ერთი ამ პორტრეტთაგან დღეს შემორჩენილი არ არის, მათ შესახებ არსებობს წერილობითი ცნობები, ჩანახატები და ფოტოც კი.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მიერ გაშლილი ფართო სამშენებლო მუშაობის შესახებ ცნობებს მონასტრის კედლებზე შემონახული წარწერებიც გვაწვდის. „მე ყოვლად უღირსმან მამამან ჯვარისა და წმიდისა გოლგოთისამან დავახატვინე მრავალი ჯირითა და შრომითა. ამინ“, — ამოკვეთილია შესასვლელთან, სვეტზე. „ჯვარო პატიოსანო, შეიწყალე ცოდვილი მამა წმიდისა ჯვარის ნიკიფორე“, — ნათქვამია მეორე წარწერაში. „იესო ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი ნიკ(ოლოზ). მოიხსენიე, უფალო, ნიკიფორე ჯვარისმამა ძლიერ ცოდვილი“, — ამოკვეთილია ქრისტეს საფლავის ტაძრის ერთ-ერთ კედელზე. ღაბოლოს, ანდერძივით ეღერს მთავარი ტაძრის გუმბათის ქვეშ, იატაკის მოზაიკაში ჩატანებული ბრინჯაოს მრგვალ ფილაზე ამოკვეთილი წარწერა: „სდეგით მტკიცედ და შეურყევლად და მომიხსენეთ მე, ცოდვილი ჯვარისმამაჲ ნიკიფორე—ნიკოლოზ“.

ცოტა რამ ვიცით მწიგნობრული საქმიანობის შესახებ ჯვრის მონასტერში ნიკოლოზის მოღვაწეობის პერიოდში. თუმცა ზოგი მინაწერი გვაუწყებს იმ მძიმე ვითარების ცალკეულ ფაქტებს, რომელშიც ეს საქმიანობა მიმდინარეობდა: „ოდეს ეს წიგნი ვიმუშავე, მაშინ დიაღ განსაცდელში იყო წმიდა მონასტერი, ოთხი ათასი მარჩილი ვალი ეკიდა მონასტერსა, პურისა და ღვინის ფასიც არა მქონდა, უწყის უფალმან. ამის მეტი რა მოგახსენოთ, რომ ამ წიგნის სამოსიც ვერ მიშოვეს და მე არა მქონდა რა. და ერთი მღვდელი მლოცავი სიმონ მოიწია შავშეთით და იმან შემოაწია სამოსი ამ წიგნისა“, — ნათქვამია გრიგოლ დიაკონის მინაწერში მის მიერ განახლებულ XI საუკუნის ხელნაწერზე.

ნიკოლოზ—ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ენერგიულ საქმიანობას იერუსალიმის პატრიარქ თეოფანეს ყურადღება მიუპყრია და სიკვდილის წინ (1645 წ.) თავის მემკვიდრედ — იერუსალიმის პატრიარქად — ნიკიფორე დაუსახელებია. მაგრამ ამ მაღალი თანამდებობის დასაკავებლად მძაფრი ბრძოლა იყო გაჩაღებული, ადგილობრივ დიდკაცობას სხვა კანდიდატი ჰყავდა და შეძლეს კიდეც მისი გაყვანა. 1649 წელს ნიკოლოზმა იერუსალიმი დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მომდევნო წინამძღვრების ჟამს იერუსალიმის ქართულ კოლონიას ვალი გაეზარდა, მისი ეკონომიკური და

უფლებრივი მდგომარეობა გაუარესდა. XVII ს. მეორე ნახევარში, ქართული პოლიტიკური ერთეულების ძნელბედობის გამო, შემცირდა ქართველ პილიგრიმთა რიცხვი, თუმცა პილიგრიმობა არ აღკვეთილა. იერუსალიმში რამდენჯერმე ჩასულა და ჯვრის მონასტერს დახმარებია დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მაქსიმე მაჯუტაძე, ყოფილან აგრეთვე ცნობილი მწიგნობარი იაკობ დუმბაძე, არაგვის ერისთავთა სახლის წარმომადგენელი, მწერალი და საეკლესიო მოღვაწე „კოზმაყოფილი კიპრიანე“ სამთავნელი, დომენტი ბაგრატიონი (შემდგომში ქართლის კათალიკოსი დომენტი I). განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართლის მეფე გიორგი XI მიერ იერუსალიმის კოლონიისათვის გაწეული დახმარება. 1684 წელს გიორგი XI ვალისაგან იხსნა ჯვრის მონასტერი და მცირე ხნით გაახანგრძლივა მისი, როგორც ქართული სავანის არსებობა. მაგრამ ჯვრის მონასტრის შენარჩუნება ქართველობამ დიდი ხნით ვეღარ შეძლო.

XVII ს. დასასრულს ჯვარი და სხვა ქართული სავანეები იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის ხელში გადავიდა. იქაური ქართველები სხვადასხვა ტაძარში დაიქსაქსნენ, მათი უფლებები შეიზღუდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1363 წელს თურქებმა ხელთ იგდეს პეტრიწონი და დაარბიეს მონასტერი. მათ მხოლოდ XVI ს. ბოლოს დართეს ბულგარელებს პეტრიწონის მონასტრის მართვის ნება. XVII საუკუნეში მონასტერში აღმშენებლობითი მუშაობა გაიშალა: ააგეს მთავარი ტაძარი და სატრაპეზო, რომლის მოხატულობა დღესაც აოცებს მნახველს. ქართველთა კვალი პეტრიწონში აღარ ჩანს. იგი დიდხანს იყო სადავო ბერძნებსა და ბულგარელებს შორის. ბერძნები დაეპატრონენ მონასტერს და ფლობდნენ მას 1894 წლამდე, ვიდრე სავანე ბულგარელთა ხელში გადავიდა.

ასე წარმოგვიდგება უცხოეთის ქართულ სავანეთა მდგომარეობა XVI—XVII საუკუნეებში.

მტრის შემოსევებს, კულტურის სხვა ძეგლებთან ერთად, ქართული ხელნაწერებიც ეწირებოდა. ძვირფასი წიგნები საქართველოს ფარგლებს გარეთ გაჰქონდათ. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, XVII ს. შაჰ-თამაზის შემოსევის დროს მტერმა ვარძიის მონასტრის წიგნები გაიტაცა.

ქართველი მოღვაწეები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ხელნაწერთა გადამალვა-გახიზვნისათვის, „დატყვევებული“ წიგნების გამოხსნისათვის. პარხალის მრავალთავის მინაწერი გვამცნობს: „ჩვენ, ხელმწიფემა პატრონმა დადიანისა ასულმა დედოფალთ-დედოფალმან მარიამ, ესე წიგნი ურუმის ქვეყნიდამ გამოვიხსენ და განვაახლე დაშლილი და წამხდარი“. „სჯულის კანონის“ მინაწერში ნათქვამია: „მე, ვაჩნაძემა, როინისშვილმა ბოქაულთუხუცესმა იორამ, ოდეს ბატონი სუიმონ ურუმთაგან დატყუევდა და ჩუენ ხუანთ-ქართან ელჩად წავედით, ეს წიგნი დატყუევებული ვიპოვეთ და დავიხსენით და ვიყიდეთ ოთხმოც ფლურად“.

მარიამ დედოფლის ბრძანებით განახლდა „ქართლის ცხოვრება“. ეს ხელნაწერი „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხის სახელითაა ცნობილი. გიორგი XI ბრძანებით დაამზადა მდივანმა ბეგთაბეგ თანიაშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ ძვირფასი ხელნაწერი. მისივე დავალებით გალექსა იაკობ დუმბაძემ ბაგრატ ბატონიშვილის პოლემიკური ნაშრომი მაჰმადიანობის წინააღმდეგ. ამავე გიორგი XI შეუკვეთა სულხან-საბას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენა.

ქართული კულტურის ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ქართული სტამბის მოწყობა და პირველი ქართული წიგნის დასტამბვა რომში 1629 წელს. ამ საქმის სულისჩამდგმელი იყო ქართველი მწიგნობარი და დიპლომატი, ჩვენთვის უკვე ცნობილი ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი (ირბახი). იგი კახეთის ერთ-ერთი წარჩინებული გვარის შვილი იყო. განათლების მისაღებად მშობლებს იტალიაში, რომში გაუგზავნიათ და ერთ ბერძნულ სკოლაში მიუბარებიათ. იქ ნიკოლოზმა თორმეტიოდე წელი დაჰყო და საფუძვლიანი განათლება მიიღო. იქვე აღიკვეცა ბერად და საერისკაცო სახელი ნიკოლოზი ნიკიფორედ შეიცვალა. 1608 წლიდან იგი, მისიონერ პატრ გვილელმოსთან ერთად, საქართველოში დაბრუნდა, კახეთის მეფის თეიმურაზ I მოძღვარი გახდა. 1614 წ. შაჰ-აბასის შემოსევისა და თეიმურაზის იმერეთში გადასვლის შემდეგ ნიკოლოზ—ნიკიფორემ დატოვა კახეთი და იერუსალიმს გაემგზავრა.

1626 წ. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი თეიმურაზის ელჩად გაემგზავრა ევროპაში, რომის პაპთან და ევროპის სახელმწიფოთა მეფეებთან. 1627—1628 წწ. მან ევროპის რამდენიმე ქვეყანა მოიარა. 1628 წ. რომში ნიკოლოზ—ნიკიფორე ჩოლოყაშვილის თანამშრომლობით კათოლიკე მისიონერებმა ქართული შრიფტი ჩამოასხეს, სტამბა მოაწყეს და 1629 წ. გამოსცეს 3086-სიტყვიანი ქართულ-იტალიური

ლექსიკონი და ქართულ-იტალიური ანბანი ლოცვებითურთ. ლექსიკონის შემდგენლები იყვნენ თვით ნიკოლოზი და სტეფანე პაოლინი. ეს იყო პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი. 1643 წ. იქვე დაიბეჭდა ქართული გრამატიკა.

შემდგომში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა იმერეთში (მეფე ალექსანდრესთან), სამეგრელოში (ლევან II დადიანთან). 1643—1649 წწ., როგორც უკვე ვთქვით, იერუსალიმის ჯვრის მამა იყო. 50-იან წლებში ისევე სამშობლოშია და აქტიურად მონაწილეობს ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ღონისძიებაში, უცვლელი მონაწილეა უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიღებათა ცერემონიალისა თუ მათთან მოლაპარაკებისა. სიცოცხლის ბოლოს ნიკიფორე დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გახდა, თუმცა ამ პოსტზე დიდხანს არ უღვაწია და 1657 თუ 1658 წელს გარდაიცვალა.

საქართველოში პირველი სტამბა 1709 წ. დაარსდა, რის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

2. მხატვრული ლიტერატურა

XVI—XVII სს. ქართული ლიტერატურა კლასიკური პერიოდის ტრადიციებს ეყრდნობოდა. ახალი ნიშნებიდან, რომლებიც „მცირე აღორძინების“ ხანის ქართულ მწერლობას ახასიათებს, უნდა აღინიშნოს ეროვნული თემატიკის გაფართოება, რეალიზმის ელემენტები, ახალი ჟანრებისა და ფორმების დამკვიდრება, საერო პოეზიის გაძლიერება, პოეზიის უპირატესობა პროზასთან შედარებით.

ეროვნული თემატიკის დამუშავება, პირველ რიგში, ყიზილბაშთა და თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას უკავშირდებოდა. იქმნება თხზულებები, რომელთა მიზანი უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის იდეური უზრუნველყოფა იყო. სწორედ ასეთი ხასიათისაა ბაგრატ ბატონიშვილის (მუხრანბატონის) ანტიმაჰმადიანური თხზულება „მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილთაჲ“.

ბაგრატ ბატონიშვილი ქართლის მეფის კონსტანტინე II (1479—1505 წწ.) უმცროსი ვაჟი იყო. 1512 წ. თავისი ძმის, მეფე დავით X მან საუფლისწულოდ მიიღო მუხრანი, „აღაშენა ციხე მტვერისა, რომელ არს ციხის-ძირის თავსა, და დადგა მუნ“. ამით ბაგრატმა საფუძველი ჩაუყარა სამუხრანბატონოს და ბაგრატიონთა მუხრანის შტოს.

1539 წ. ბერად აღიკვეცა და ეწოდა ბარნაბე. როგორც ჩანს, ამის შემდეგ დაწერა მან ზემოთ დასახელებული თხზულება. ლიტერატურული თვალსაზრისით იგი საკმაოდ მდარე ნაწარმოებია, მაგრამ ღიღად პოპულარული გამხდარა თავისი სულისკვეთების გამო. მასში განქიქებულია ყურანი და მაჰმადიანური რჯული, მის საპირისპიროდ განდიდებულია ქრისტიანობა და ქართული ქრისტიანული კულტურა. „უკეთუ გარქუას ვ´დ შენ ენაჲ გაქუს წიგნები იგი, რომელ არ ხარ ისრაილი, არცა ბერძენი, არცა ასური, არცა ჰარაბი, არამედ ქართუელი, მიუგე მას, რაოდენიცა ჩუენი ქუეყნისანი სასწაულმოქმედნი პირველ მოჰამედისა იყუნეს“, — ჩააგონებს ბაგრატი თანამემამულეებს. მის ნაწარმოებს მნიშვნელობა არც მომდევნო საუკუნეში დაუკარგავს. გიორგი XI ბრძანებით იგი გალექსა იაკობ დუმბაძემ.

XVI—XVII სს. ქართულ კულტურაში, განსაკუთრებით — ლიტერატურაში აშკარად იჩენს თავს ირანული გავლენა. შესაბამისად, ძლიერდება მის წინააღმდეგ ბრძოლაც, რომელიც კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვა-აღორძინების გზით მიმდინარეობს. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ბევრი გამგრძელებელი და მიმბაძველი გამოუჩნდა. XVI—XVII სს. ჩამოყალიბდა „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა მთელი ციკლი, რომელთა ავტორები იყვნენ მანუჩარ მწერალი, იოსებ თბილელი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და სხვ.

XVI—XVII სს. ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საგმირო ეპოსს. მისი ნიმუშია „როსტომიანი“ — ფირდოუსის „შაჰნამეს“ ნაწილი, რომელიც XVI ს. პირველ ნახევარში გალექსა სერაპიონ საბაშვილმა (კედელაურმა), შემდეგ კი გააგრძელა ხოსრო თურმანიძემ. მათთვის ძირითადი წყარო იყო „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზაული ვერსიები, რომლებიც მომდინარეობდა ამ ნაწარმოების გვიანდელი XIV—XV სს.) ჩანართებიანი ტექსტიდან. „როსტომიანი“ ქართული, და საერთოდ, ქრისტიანული ელემენტებითაა გაჟღენთილი. მიუხედავად რუსთაველის ძლიერი გავლენისა, საბაშვილმა შეძლო ორიგინალობის შენარჩუნება და სპარსული ეპოსის მარჯვედ გადმოქართულება.

ირანულ ლიტერატურაში „შაჰ-ნამეს“ ბევრი მიმბაძველი ჰყავდა, რომელთაც განავრცეს ეს თხზულება მისი გმირების წინაპართა და შთამომავალთა საგმირო თავგადასავლებით. ეს ნაშრომებიც გადმოუქართულებიათ.

უდგენია იმერეთში მოწვეულ საეკლესიო კრებას. მკვლელობის, ეკ-
ლესიათა ძარცვის, არაკანონიერი ქორწინებისა და სხვა საკითხთა
შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ტყვეებით ვაჭრობასა და
მის წინააღმდეგ ბრძოლას. როგორც ჩანს, კანონიკური სამართლის
იურისდიქციაში, სასულიერო საქმეების გარდა, ზოგიერთი სისხლის
სამართლის საქმეც შედიოდა.

სამართლებრივი კულტურის საერთო დონის წარმოსადგენად დი-
დი მნიშვნელობა აქვს განვითარებული და პრიმიტიული სამართლის
ნორმებისა და ინსტიტუტების თანაფარდობას. XVI—XVII სს. ქარ-
თულ სამართალს ახასიათებს განვითარებული სამართლის ინსტი-
ტუტების დასუსტება. ეს, პირველ რიგში, გამოიხატა სამართლის სა-
ჯარო ხასიათის დაქვეითებაში. დანაშაულისათვის საქმის აღძვრა და
სასჯელის შეფარდება კერძო პირთა სურვილით იყო განსაზღვრული.
მიუხედავად ამისა, დანაშაულის საჯარო ელემენტი არსებობას განა-
გრძობდა. მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულის დევნა სა-
ხელმწიფოს პრეროგატივად ითვლებოდა; განვითარებული სამართლის
ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი — სამებრო პროცესი კვლავ
არსებობდა.

თანაფარდობა განვითარებული და პრიმიტიული სამართლის ელე-
მენტებს შორის შეიცვალა საპროცესო სამართალშიც. XI—XII სა-
უკუნეებთან შედარებით, მცირდება წერილობითი საბუთებისა და
მოწმეთა ჩვენებების, როგორც მთავარი დამამტკიცებელი საბუთების
მნიშვნელობა. უპირატესობა ფიცს ეძლევა, თუმცა, როგორც ჩანს,
მას უეჭველი საბუთის ძალა არა აქვს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ XVI—XVII სს. ქართული საპროცე-
სო სამართალი აღიარებდა პრიმიტიული სამართლის დამახასიათებელ
ე. წ. „ღვთის სამსჯავროს“ — ორდალიების სისტემას. თუმცა მას
ფართო გამოყენება არ ჰქონია.

როგორც ვხედავთ, XVI—XVII სს. ქართული სამართალი იცნობს
როგორც განვითარებული სამართლის ინსტიტუტებს, ისე განუვითა-
რებელი სამართლის ელემენტებს, რაც ქვეყნის მაშინდელი მდგომა-
რეობის შედეგი იყო.

მედიცინა. ქართული მედიცინის განვითარება უძველესი დროი-
დან დაკავშირებული იყო დასავლური და აღმოსავლური მედიცინის
მიღწევათა ათვისებასთან. გარდა ამისა, ქართული მედიცინა აღგი-

ლობრივ ტრადიციებს ემყარებოდა და ხალხური მედიცინის გამოც-
დილებით მდიდრდებოდა.

XVI საუკუნეში შეიქმნა ქართული მედიცინის ერთ-ერთი უმნიშვ-
ნელოვანესი ძეგლი — „იადიგარ დაუდი“ (დავითის მოსაგონებელი).
იგი შეადგინა დავით IX, იგივე დაუდ-ხანმა 80-იან წლებში, სტამ-
ბოლში ყოფნის დროს. „იადიგარ დაუდი“ კომპილაციური ხასიათის
შრომაა, შედგენილი ორი ასევე კომპილაციური შრომის საფუძველზე.
ისინი დაუდ-ხანს სტამბოლში აურჩევია სხვა საექიმო წიგნებს შორის
და პირდაპირ კი არ უთარგმნია, არამედ ორი წიგნიდან შეუდგენია ერთი
ქართული წიგნი, რომელშიც საკუთარი დაკვირვებები და გამოც-
დილებაც შეუტანია. როგორც ჩანს, დავითს სათანადო სამედიცინო
განათლება ჰქონდა მიღებული. წიგნში აღწერილია ავადმყოფობის
გამოკვლევის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდები, რომელ-
თა ნაწილს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მკურნალობის
საშუალებებიდან გამოყენებული ყოფილა წამლებით მკურნალობა,
დიეტური მკურნალობა, ქირურგიული, კლიმატური და ფიზიომეთო-
დები და სხვ. წიგნის წინასიტყვაობა და შინაარსი გვიჩვენებს, რომ
მას პრაქტიკული სახელმძღვანელოს ფუნქცია ჰქონდა: „თუ კაცი ასე-
თსა ადგილსა ავად გახდეს, რომე იქი ექიმი და შემტყობი კაცი არ
იყოს... ამა წამლებითა მორჩეს. ესე წიგნი დაიდვან წინა და ამა წიგნ-
თა უაქიმონ“, — წერს დაუდ-ხანი.

4. ხუროთმოძღვრება. ხელოვნება

XVI—XVII საუკუნეებში შექმნილი ხუროთმოძღვრებისა და ხე-
ლოვნების ძეგლების რაოდენობა ძალიან დიდია: ხუროთმოძღვრული
ანსამბლები თუ ცალკეული ნაგებობანი, კედლის მხატვრობა, ოქრო-
მჭედლობა, დეკორაციული სკულპტურა, ხელნაწერი წიგნები, მათ
შორის — მინიატურებით შემკული. მასშტაბითა და მხატვრული ხა-
რისხით ისინი X—XIII საუკუნეების ძეგლებს ვერ შეედრებიან, მა-
გრამ ნათლად წარმოგვიდგენენ შემქმნელთა ამოუწურავ შემოქმედე-
ბით პოტენციალს.

ხუროთმოძღვრება. სტილისტური ნიშნები, რომლებიც წინა პერი-
ოდში გამოჩნდა (ეკლექტიზმი, მხატვრული მთლიანობის რღვევა),
სულ უფრო აშკარად იჩენს თავს. მკაფიოდ ჩანს პროფესიული დონის
დაქვეითებაც.

XV საუკუნე, როგორც ვიცით, დანგრეულ და დაზიანებულ ნაგე-

ბობათა შეძლებისდაგვარად აღდგენას მოუნდა. XVI საუკუნიდან მშენებლობის ახალი გამოცოცხლება დაიწყო. XVII ს. დასაწყისიდან კახეთში, რომელიც მანამდე ამ მხრივ პირველობდა, მშენებლობა კარგა ხნით ჩაკვდა. XVII ს. შუა ხანებიდან ქართლი დაწინაურდა.

XVI—XVII საუკუნეებიდან ჩვენამდე მოაღწია როგორც ცალკეულმა ტაძრებმა და ციხეებმა, ისე მთელმა ხუროთმოძღვრულმა ანსამბლებმა: ციხე-გალავნებმა კოშკებით, საცხოვრებელი და სამეურნეო შენობებით, ეკლესია-სამრეკლოებით.

შექმნილი ვითარების გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნიჭებოდა თავდაცვით ნაგებობებს, კერძოდ, საფორტიფიკაციო შენობათა ახალი ტიპის — გალავნების მშენებლობას. ესაა ოთხი მხრივ შემოზღუდული მოზრდილი ნაკვეთი, უმეტესად სწორკუთხა ფორმისა, რომელშიც იავის შეფარება შეეძლო სოფლის (ან რამდენიმე სოფლის) მოსახლეობას საქონელთან ერთად.

ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებამ ცვლილებები გამოიწვია ციხე-სიმაგრეთა გეგმასა და კონსტრუქციაში. წინანდელი „სალოდეების“ გვერდით ჩნდება სათოფეები და საზარბაზნეები. კოშკები ბევრად წინ წამოწეულია გალავნის კედლიდან, რაც შესაძლებელს ხდიდა აქტიურ თავდაცვას და გასწვრივი ცეცხლით კედელ-გალავნების დაცვას.

ძველთაგან გავრცელებული საშენი მასალის — ქვის პარალელურად XVI საუკუნიდან ფართოდ ერცელდება აგური, რომელსაც იყენებდნენ როგორც კედლების ასაშენებლად, ისე ფასადებისთვისაც.

საკულტო ნაგებობათა ძირითადი ფორმები ტრადიციულია. თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ ძეგლში — განსაკუთრებით სამოქალაქო ნაგებობებში აშკარად იჩენს თავს ირანული გავლენა. ჩნდება ისრული და მუზარადისებრი თაღები და კამარები, ქვის ჩუქურთმა ადგილს უთმობს აგურით გამოყვანილ სახეებს. მაგრამ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში ირანული გავლენა სრულიად ვერ ცვლის ძირითად ფორმებს, ვერ სცილდება „სამოსელის“ ფარგლებს. დასავლეთ საქართველოს ხელოვნების ძეგლებში ირანული გავლენა თითქმის არ არის ან ძალიან მცირეა. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში მრავლად შენდებოდა ტრადიციული ქვის პერანგით შემოსილი, მოჩუქურთმებული ტაძრები, რომელთა შედარება წინა ხანის ანალოგიურ ძეგლებთან მკაფიოდ წარმოგვიდგენს განვითარების სურათს და ცვლილებებს: ფასადების მორთულობა და-

ტვირთულია და პრეტენზიული. შესამჩნევი ხდება ერთგვარი „სიმშრალე“, სამკაული ორგანულად ვეღარ „ზის“ არქიტექტურაში. თუმცა შესრულების ტექნიკა კარგია, მაგრამ მას ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს.

საინტერესო ძეგლია კახეთის ახალი დედაქალაქი გრემი, რომელიც ძირითადად ნანგრევების სახით შემოგვრჩა. ქალაქს თავს დაჰყურებდა 1565 წელს აშენებული მთავარანგელოზის ეკლესია (აგურით ნაშენი) და მის გვერდით მდებარე მეფის საცხოვრებელი კოშკი-სასახლე. ეკლესიებს გარდა, ქალაქში იყო აბანოები, ქულბაქები (საბაზრო მოედანი, რომელსაც ოთხი მხრივ უვლიდა გარს დუქნების რიგი), სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი.

XVI საუკუნეს მიეკუთვნება კახთა მეფე ლევანის მეუღლის — თინათინის მიერ აშენებული შუამთის ახალი მონასტერი, აგურით ნაგები, ფასადებზე აგურის წყობით გამოყვანილი დიდი ჯვრებით, ძალიან მაღალი, აზიდული. ეკლესიის ეზოში დგას აგურისავე სამრეკლო, რომლის სართულებზე მოზრდილი საცხოვრებელი ოთახებია გაჩართული. ნინოწმინდის სამრეკლოსთან ერთად, რომელიც იმავე პერიოდისაა, შუამთის სამრეკლო ამ ტიპის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაგებობაა.

XVII საუკუნის უმნიშვნელოვანესი კომპლექსია არაგვის ერისთავთა ციხე — ანანური. ციხის გალავანი ქვითაა ნაგები, ისევე როგორც კოშკები, რომელთაგან მთავარია შვიდსართულიანი სწორკუთხა კოშკი—ე. წ. „შეუპოვარი“. გალავნის შიგნით კიდევ ერთი, პირამიდულსახურავიანი კოშკია. იქვეა ორი ეკლესია, სამრეკლო, გაყვანილია წყალსაცავი.

ანანურის ეკლესია, წარწერის თანახმად, 1689 წელს აუშენებია არაგვის ერისთავ ბარძიმს. მშენებლობას ხელმძღვანელობდა „ბოქაულთუხუცესი“ ქაიხოსრო ბაღსარაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელ ძეგლთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, ანანურის ეკლესია თლილი ქვითაა ნაშენი და მდიდრულად მოჩუქურთმებული. მშენებლობის ტექნიკური ხარისხი კარგია, მაგრამ მორთულობაში, სხვა ძეგლების მსგავსად, იგრძნობა დახვეწილი გემოვნებისა და ზომიერების გრძნობის ნაკლებობა, ხელოსნურობა, პრეტენზიულობა.

XVII საუკუნის საყურადღებო ძეგლებია ე. წ. მაღალაანთ კოშკე-

ბი (კავთურის ხეობაში), 1688 წლის მჭადიჯვრის დიდი გუმბათიანი ეკლესია (დუშეთსა და მუხრანს შუა), ანჩისხატის სამრეკლო თბილისში, 1675 წლისა (ორი უკანასკნელი აგებულია დომენტი კათალიკოსის ბიერ).

იმდროინდელმა სასახლეებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ წერილობითი წყაროები გვაუწყებს, რომ მეფეთა და მთავართა (როსტომის, კახეთის მეფეების, ლევან II დადიანის და სხვ.) სასახლეები შესანიშნავად ნაგები, მდიდრულად მორთული და მოხატული ყოფილა. არჩილ მეფის მიერ თელავში აგებული და შემდეგ ერეკლე II დროს გადაკეთებული სასახლე დღესაც არსებობს, მაგრამ იმდენად შეცვლილია, რომ მისი თავდაპირველი სახის წარმოდგენა ძნელდება. სასახლეს მძლავრი გალავანი აკრავს. ამ ანსამბლს ბატონის ციხეს უწოდებენ. სასახლეები ირანული ხუროთმოძღვრების გავლენით იყო ნაგები.

XVII საუკუნისაა აგრეთვე ქსნის ციხე და სხვილოს ციხე, ორივე ძნელად მისადგომ მთებზე.

ამავე საუკუნიდან შემოგვრჩა როსტომის მიერ მდ. ქციაზე (თბილისის სამხრეთით, 57 კმ დაშორებით) ირანული ხიდების მიბაძვით აგებული ე. წ. გატეხილი ხიდი (იგივე „წითელი ხიდი“ — აზერბაიჯანის საზღვარზე). იგი აგურისაა. მის ბურჯებში ქარვასლა იყო გამართული. დასავლეთ საქართველოში, ქუთაისთან, მდ. ჭიშურაზე 1668 წელს გენათელი გედეონ ლორთქიფანიძის მიერ აგებული ქვის ხიდი. ესაა „კუზიანი“ ხიდი ნახევარწრიული თაღებით, რომელიც ძველი ქართული ხიდების მსგავსია და არაფერი აქვს საერთო ირანულთან.

ხელოვნება. XVI—XVII სს. კლავინდებურად გავრცელებული იყო ტაძრების მოხატვა, არსებობდა რამდენიმე სამხატვრო სკოლა. ხშირად ეკლესიის კედლებზე გამოისახებოდა მეფე-მთავრებისა და მათი ოჯახის წევრთა პორტრეტები (გელათში, გრემში, ძველ შუამთაში, ნიკორწმინდაში, მარტვილში, ხობში, პატარა კარის ეკლესიებსა და სამლოცველოებში იმერეთში, რაჭაში, ლეჩხუმში). შესრულება პრიმიტიული და გულუბრყვილოა, გადმოცემა — სიბრტყითი, თუმცა პორტრეტებში ზოგჯერ რეალობის ასახვის მცდელობაც ჩანს. ამ პორტრეტებს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ღირებულებაც აქვს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მცხეთის სვეტიცხოვლის შიგა სვეტის მოხატულობა, შესრულებული 1678—1688 წლებში მოქალაქე

გრიგოლ გულჯავარასშვილის ხელმძღვანელობით, კათალიკოს ნიკოლოზის (ამილახორი) ბრძანებით, რომელმაც მთლიანად შეაკეთა და შეამკო სვეტიცხოველი. გრიგოლს შეგირდები და თანაშემწეებიც ჰყოლია, რადგან სვეტის მხატვრობაში აშკარად განირჩევა რამდენიმე მხატვრის ხელი. ფრესკების კომპოზიციები განსხვავებულია შესრულების მანერითა და ხარისხით, მაგრამ საერთო გეგმას ექვემდებარება. მხატვრობა მოკლებულია მონუმენტალობას, შესრულების ტექნიკა „მინიატურულია“, ფიგურები — წვრილი, წაგრძელებული. მოხატულობა ამ პერიოდის ფრესკული მხატვრობის ტიპური ნიმუშია, მაგრამ იგი ყურადღებას იქცევს ქართული სიუჟეტების მქონე ციკლებით. განსაკუთრებით საინტერესოა წმ. ნინოს ცხოვრებისა და ქართლის მოქცევის სცენების ციკლი, რომელსაც უმეტესი ადგილი აქვს დათმობილი. იგი სიუჟეტურად ძველ ქართულ გამოცემებთან და მატიანეთა ცნობებთანაა დაკავშირებული. მოხატულობა სახარების გავრცელებულ სცენებსაც შეიცავს, მაგრამ გრიგოლს თვით „ჯვარცმის“ კანონიკურ სცენაშიც შეაქვს ორიგინალური, ქართული მატიანეების ტექსტით ნაკარნახევი დეტალი: წმ. ნინოს ცხოვრების პერსონაჟი, მცხეთელი ებრაელი ელიოზი, რომელიც ჯვარცმულს უყურებს და ორივე ხელით კვართი აქვს ჩაბღუჯული.

ოქრომჭედლობაში გრძელდება დაქვეითების ტენდენცია. ფიგურების პლასტიკური გადმოცემის ხელოვნების დაცემა კიდევ უფრო მკაფიოდ იჩენს თავს. ხშირია ხატებზე ქტიტორთა (შემკვეთთა) მუხლმოდრეკილი ფიგურების გამოსახვა. პროპორციები ულაზათოა, პლასტიკურობა — დაკარგული, ორნამენტი — პრიმიტიული. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ლევან II დადიანის კარზე შესრულებული ხატები.

XVI—XVII საუკუნეებში, საეკლესიო წიგნების შემკობასთან ერთად, ფართოდ ვრცელდება საერო შინაარსის ხელნაწერთა დასურათებაც. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ შემკული და დასურათებული ხელნაწერები (XVII ს.). ზოგ მათგანში ფურცლის ორნამენტული გაფორმებაა, რომელსაც სიუჟეტთან კავშირი არა აქვს. სხვებში სიუჟეტიანი მინიატურებია.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ხელნაწერი შესრულებულია მამუკა თავაქარაშვილის (თავაქალაშვილის) მიერ. მამუკა იმერეთის მეფის ალექსანდრეს მდივანი იყო (ამ გვარის წარმომადგენლები ადრიდანვე ჩანან იმერეთის მეფეთა მდივნებად). 1634 წელს კაკას ხიდთან

ბრძოლაში, სადაც ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, ერთი მხრივ, იმერთა მეფე გიორგი და კახთა მეფე თეიმურაზ I, მეორე მხრივ კი, ქართლის მეფე როსტომი და ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი, მამუკა ტყვედ ჩაუვარდა ოდიშელებს და დიდხანს იყო დადიანის კარზე. 1646 წ. მან ლევან დადიანის ბრძანებით გადაწერა და დაასურათა „ვეფხისტყაოსანი". მისივე ბრძანებით გალექსა „ზააქიანი", რომელსაც საფუძვლად „შაჰ-ნამეს" ერთი ნაწილი უდევს.

მამუკას გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი" 39 მინიატურითაა შემკული. მკვლევართა ნაწილი მათ მამუკას მიაწერს, ნაწილი უარყოფს ამ აზრს. მინიატურები საინტერესოა იმით, რომ შედარებით თავისუფალია ირანული გავლენისაგან, რაც ძლიერ საგრძნობია „ვეფხისტყაოსნის" სხვა ხელნაწერებში. მხატვრისათვის უცნობია სივრცობრივი ასახვა. ფერწერაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება, ესაა მხოლოდ შეფერილი გრაფიკული ნახატი. მინიატურებში აისახა მხატვრის თანამედროვე ქართული სინამდვილე — ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო დეტალები. „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციების გარდა, იქვეა რუსთაველის პორტრეტი (რუსთაველი და მდივან-მწერალი, რომელსაც ის პოემას კარნახობს) და თვით მაგიდასთან მჯდომი მამუკას პორტრეტიც. ამ მინიატურებს ხალხური ხელოვნების უშუალობა და მიმზიდველობა ახასიათებს.

რაც შეეხება ხელნაწერს, მას ჩამოყალიბებული ოსტატის ხელი არ ატყვია და ცოტა პრიმიტიულობის ელფერიც დაჰკრავს. ხელნაწერის ერთ-ერთ ანდერძში ნათქვამია: „დიდება სრულმყოფელსა ღმერთსა, ყოველთა შემწე-მფარველსა. ვიწყე ეს ვეფხისტყაოსანი თიბათვესა ცამეტსა, სრულვყავ თვრამეტს აგვისტოსა, ქორონიკონსა სამასოცდათოთხმეტს. თუ რამ აკლდეს ნურავინ დამწყევლით, ტყვეობაშიდ ვსწერდი. შიგნით ოცდაცხრა რვეული არის, ფურცელი ორასოცდათორმეტი". წიგნი საშუალო ფორმატისაა (27×19 სმ).

ქართველი მხატვარ-მინიატურისტები იმ დროს საქართველოს გარეთაც, კერძოდ, ირანში ჩანან. მათგან ცნობილია სიაუშისა და ჯაბადარის სახელები.

სიაუში შაჰ-თამაზის კარზე მოღვაწეობდა. მისი ერთი მინიატურა (შევარდენის გამოსახულება, არშიაზე მინაწერი სპარსულად: სიაუშის ხელობა) პეტერბურგში ინახება, მეორე (ნადირობის სცენა) — პარიზში. ბიოგრაფიული ცნობები სიაუშის შესახებ შემოინახა XVII ს. სპარსელი ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის თხზულებაში

„ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია აბასისა". „სიაოშ-ბეგ ქართველი იყო მსახური განსვენებული შაჰისა. მისმა უდიდებულესობამ, შენიშნა რა მასში ნიჭი, მისცა ის მხატვრობის შესასწავლად, — წერს ისკანდერ მუნში, — მან დიდ წარმატებას მიაღწია, ფრიად ნაზი ფუნჯი ჰქონდა, დეტალების დიდი ოსტატი და შეუდარებელი მხატვარი იყო".

XVII ს. მეორე ქართველი მხატვარიც — ჯაბადარი ირანში მოღვაწეობდა. პეტერბურგში, ერმიტაჟში ინახება მის მიერ შესრულებული 8 მინიატურა — შაჰის კარის ცხოვრებისა და ნადირობის სცენები. ერთ-ერთ მათგანზე აღნიშნულია შესრულების ადგილი — ყაზვინი და თარიღი — 1674 წელი. მინიატურებს ახლავს ქართული წარწერები, რომლებიც აღნიშნავენ გამოსახულ პირთა თანამდებობებს. ქართული წარწერები შეინიშნება საღებავის ფენის ქვეშაც („ლაჟვარდი", „ყირმიზი", „ყვითელი და თეთრი" და სხვ.). მხატვარი ჯერ ნახატის კონტურს მოხაზავდა, შემდეგ აღწერდა, სად რა ფერი უნდა ეხმარა და შემდეგ ადებდა სათანადო საღებავებს. შესრულების ხარისხით ჯაბადარის მინიატურები არ ჩამოუვარდებოდა იმდროინდელ საუკეთესო ირანულ მინიატურებს.

გამოყენებითი ხელოვნების დარგთაგან საინტერესოა ნაქარგობა, განსაკუთრებით ე. წ. გარდამოხსნები, რომელთაც საეკლესიო მსახურებისათვის იყენებდნენ. ხშირად გარდამოხსნას გარს უვლის ფართო ორნამენტიანი ჩარჩო, ამოქარგულია წარწერებიც. აღსანიშნავია უბისისა (XVI ს.) და იმერეთის მეფე ბაგრატ III (XVI ს.) გარდამოხსნები. შემოგვრჩა საეკლესიო სამოსელის ნიმუშებიც.

საქართველოში უძველესი დროიდან იყო განვითარებული სახიობა —სანახაობრივი კულტურა. XIV— XVII სს. ფრაგმენტული ცნობებიდან ჩანს, რომ სამეფო სასახლეებში არსებობდნენ სახიობის ოსტატთა დასები: მესტვირენი (მესტვირეთა უხუცესითურთ), მეშუშპარენი, მუშაითნი (აკრობატები), მეჩანგენი, მედაფდაფენი.

XVI ს. ბოლოს იმერეთის მეფის კარის სახელგანთქმულ მეჩანგეებად ჩანან მამა-შვილი ივანე და სარელა ქეროხიძეები.

კახეთის მეფე ალექსანდრე II სასახლის კარზე სახიობის წარმოდგენებზე უცხო ქვეყნების ელჩებსაც იწვევდნენ. სწორედ მათ (კერძოდ, რუსმა ელჩებმა) შემოგვინახეს ამ წარმოდგენათა ზოგიერთი დეტალის აღწერა.

სამეფო ნადირობის დროს ეწყობოდა „ლამპრობა“ — მთვარის ღვთაების ძველთაგან მომდინარე დღესასწაული: ღამით მონადირეთა პროცესია ცეცხლმოდებული ხის ტოტებით მიემართებოდა სასახლისაკენ და მეფეს, დედოფალსა და დიდებულებს ლამპარს მიართმევდა. პროცესიის მონაწილენი უნდა დაესაჩუქრებინათ. ხელმოჭერილთ და პურძვირთ არ ინდობდნენ და ამხელდნენ. „ხელმწიფის კარის გარიგება“ ლამპრობის დროს ხალხს თვით მეფისა და დიდებულების მხილება-გაკიცხვის ნებას რთავდა. შემდეგ იმართებოდა სანახაობანი — „რგვალი“ (ფერხული), სიმღერა-შაირებითურთ.

გარკვეულ მასალას სახიობის შესწავლისათვის იკონოგრაფიაც იძლევა. წალენჯიხის ტაძრის ფრესკათა შორის გამოხატული მოცეკვავე ქალი ცეკვა „ქართულის“ შემსრულებელს უნდა ასახავდეს. სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზე გამოსახულია მოცეკვავე ქალთა ფერხული, შუაში — მოცეკვავე სოლისტი და მუსიკოს-დამკვრელთა ორი დასტა.

1649 წელს თეიმურაზ I რუსეთის ელჩების პატივსაცემად ნადიმი გამართა და თან სტუმრებს უჩვენა წარმოდგენა მგოსნების, მუსიკოსებისა და მუშაითების მონაწილეობით.

შემონახულია ცნობები XVII ს. საქართველოში ინდოელი მუშაითების წარმოდგენების შესახებ. ვახტანგ V სასახლის კარის სახიობაში მონაწილეობდნენ უცხოელი მომღერლებიც, რომლებიც იტალიურ და ესპანურ სიმღერებს ასრულებდნენ.

არჩილმა შემოგვინახა ცნობა თბილისში თეატრონის არსებობის შესახებ, სადაც „რუსთაველისა და თეიმურაზის გაბაასებას“ ასრულებდნენ.

სულხან-საბამ დაგვიტოვა თეატრონის სალაშქრო შინაარსის წარმოდგენის აღწერილობა. მთავარი მოქმედი პირი ომში გმირულად იღუპება. ამას მოსდევს გმირის დატირების მასობრივი სცენა, შემდეგ კი გმირის დაბრუნება და დაჯილდოება. ესაა მაგალითი ბერიკაობის ტრადიციული სიუჟეტის გამოყენებისა თეატრონის რეპერტუარისათვის. ამ დროს მკვიდრდება საგმირო-სალაშქრო ხასიათის სიუჟეტები, რომელთა მთავარი თემაა დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა.

4. ქართული კულტურა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველო ირანის, დასავლეთ საქართველო კი თურქეთის გავლენის სფეროს წარმოადგენდა. ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ზრუნვას ქართველთა ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის, რაც, პირველ რიგში, ქართული კულტურის დაცვისა და განვითარებისაკენ მიმართული საქმიანობით გამოიხატებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ მუშაობას სათავეში ედგა ქართლის მეფე ვახტანგ VI, რომლის ირგვლივ შემოიკრიბა მეცნიერებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა დასი. „სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! — წერდა ივ. ჯავახიშვილი. — ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ. იმ დიდი საქმის მოთავედ და სულისჩამდგმელად დიდებული, დაუვიწყარი ვახტანგი იყო“.

ვახტანგის ღვაწლი ქართული კულტურის განვითარებაში მართლაც განუზომელია. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს მას: „ქვრივ-ობოლთა, გლახაკთა მიმცემელი, შემბრალე, ეკლესიათა მაშენებელი, ხატთა და ჯუართა მამკობელი, მოწყალე, ცოდნის მოყვარე, ბრძენი, მხნე და ახოვანი, შვენიერ-ჰაეროვანი მუშაკი, უხვი და მშვიდი. მან მოიწყო ყოველითა ქართველნი... აღაშენა და განავრცო ქართლი... ამას მორჩილებდენ იმერნი, უსმენდენ კახნი. მოიღო მბეჭდველობა ვლახეთიდამ და განამრავლნა წიგნნი საღმრთონი, რამეთუ